ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მონიტორინგის შედეგები

(საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და სამინისტროები)

მაისი, 2016

სარჩევი

შესავალი 2

მონიტორინგის შედეგები 3

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ტენდენციები 5

პროაქტიულად ყველაზე ხელმისაწვდომი და პრობლემური ინფორმაცია 10

ინფორმაციის განახლების დათარიღება 14

დასკვნა 16

შესავალი

2012 წელს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (Open Government Partnership, OGP) ფარგლებში საქართველომ აიღო საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება. ეს იყო მნიშნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარების პროცესში.

2013 წელს საქართველოს მთავრობამ სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობისა და მისი რეკომენდაციების საფუძველზე შეიმუშავა პროექტი და 26 აგვისტოს მიიღო №219 დადგენილება ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“, რომელიც იმავე წლის 1 სექტემბერს შევიდა ძალაში. 2013 წლის 1 ნოემბერს ლონდონში გამართულ OGP-ის სამიტზე, საქართველოს მთავრობის აღნიშნული პროექტი წარდგენილ იქნა გამორჩეულ მიღწევათა ჯილდოზე (Bright Spots Prize).

საქართველოში ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წარმატებული ინპლემენტაციის შემდეგ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღებული ვალდებულებების ასევე წარმატებით შესრულება და არსებული სტანდარტების ამაღლება მეტი ელექტრონული გამჭვირვალობის მისაღწევად.

IDFI პერიოდულად ახორციელებს საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების მონიტორინგს, რითაც აფასებს მათ მიერ ვალდებულებების შესრულებას. ბოლო მასშტაბური მონიტორინგი IDFI-მ განახორციელა 2014 წლის მიწურულს, რომლის ფარგლებშიც შესწავლილი იქნა **133** უწყების ვებგვერდზე განთავსებული 2013-2014 წლების სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი მონაცემები.

2014 წლის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით დეტალურად იქნა გაანალიზებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული თითოეული პუნქტის მიმართებაში ინფორმაციის საუკეთესო და ცუდი პრაქტიკა კონკრეტული დაწესებულებების მაგალითზე. საჯარო დაწესებულებებს გაეწიათ შესაბამისი რეკომენდაციები, რომ მომავალში მაქსიმალურად უზრუნველყოფილიყო ადმინისტრაციული ორგანოების ფინანსური გამჭვირვალობა და სხვა საზოგადოებისათვის მნიშნელოვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

წინამდებარე კვლევა ჩატარდა 2016 წლის 1-15 მაისის პერიოდში. ამჯერად, IDFI-მ განახორციელა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და 16 სამინისტროს ვებგვერდის მონიტორინგი. საკვლევი პერიოდი მოიცავდა 2015 წელსა და 2016 წლის პირველ კვარტალს. კვლევაში განხილულია სავალდებულოდ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განთავსების პრაქტიკა და ტენდენციები განვლილი 2014 წლის მონიტორინგის შედეგებთან შედარებით.

მონიტორინგის შედეგები

კვლევის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის და სამინისტროების მიერ ინფორმაციის პროაქტიულად განთავსების მაჩვენებლები შედგენილია 2014 წელს განხორციელებული მონიტორინგის ანალოგიური მეთოდოლოგიით, რაც ითვალისწინებს, მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაციის თითოეული პუნქტისა და ქვეპუნქტის მიხედვით სრულყოფილად და დროულად განთავსების შეფასებას.

მთავრობის დადგენილების მიხედვით, კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო წლიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია - წლის დასრულებიდან სამი თვის ვადაში. შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელების პერიოდში (2016 წლის 1-15 მაისი) საჯარო დაწესებულებებს საკუთარ ვებგვერდებზე განთავსებული უნდა ჰქონოდათ სულ მცირე:

- *ყოველწლიური ინფორმაცია* - **2015 წლის სრული მონაცემები**
- *კვარტალური ინფორმაცია* - **2015 წლის სრული და 2016 წლის I კვარტლის მონაცემები**
- *ინფორმაცია რომელიც განახლებას ექვემდებარება გარკვეული ცვლილების შემთხვევაში* - **უახლესი მონაცემები**

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2016 წლის მაისის მდგომარეობით, ოთხმა სამინისტრომ გამოაქვეყნა სავალდებულო ინფორმაციის 100%. ესენია: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ინფორმაციის პროაქტიული განთავსების მაღალი მაჩვენებლები ასევე აჩვენეს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ - 98%, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ - 93%, იუსტიციის სამინისტრომ - 92% და ფინანსთა სამინისტრომ - 89%.

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას - 47%, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს - 50%, საგარეო საქმეთა სამინისტროს - 52% და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - 52%.


საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებლები 2015-2016
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
100%
ენერგეტიკის სამინისტრო
100%
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
100%
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
100%
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
98%
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
93%
იუსტიციის სამინისტრო
92%
ფინანსთა სამინისტრო
89%
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
80%
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
78%
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
76%
შინაგან საქმეთა სამინისტრო
70%
თავდაცვის სამინისტრო
69%
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
52%
საგარეო საქმეთა სამინისტრო
52%
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
50%
მთავრობის ადმინისტრაცია
47%

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ტენდენციები

IDFI პერიოდულად ატარებს საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მონიტორინგს, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ტენდენციები.

2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და 16 სამინისტროს პროაქტიული გამოქვეყნების საშუალო მაჩვენებელმა დაახლოებით 3%-ით იკლო და 79,2% შეადგინა.



მიუხედავად, იმისა რომ 2014 წელთან შედარებით სამინისტროებისა და მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, განსხვავებულ სურათს ვხდებით კონკრეტული დაწესებულებების მაგალითზე.

სავალდებულო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების თვალსაზრისით გამორჩეულები არიან განათლებისა და მეცნიერების და ენერგეტიკის სამინისტროები, რომლებმაც ორივე 2014 და 2016 წლების მონიტორინგის შედეგად 100%-იანი მაჩვენებელი აჩვენეს.

ყველაზე დიდი გაუმჯობესება ჰქონდათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (+18%), კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (+15%) და შინაგან საქმეთა სამინისტროს (+13%).

საკუთარი მაჩვენებელი ყველაზე მეტად გააუარესეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ (-53 %) და გარემოს დაცვის სამინისტრომ (-40%).



სოფლის მეურნეობის, შინაგან საქმეთა და კულტურის სამინიტროების მაჩვენებლების გაუმჯობესება განპირობებულია იმით, რომ 2014 წელს მათ ძალიან დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ. შესაბამისად, 2015-2016 წლებში შედარებით მცირე

მოცულობის ინფორმაციის განთავსება მნიშვნელოვნად დადებითად აისახა მათ მაჩვენებელზე.

2014 წლის მონიტორინგის შედეგების მიხედვით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე ხელმისაწვდომი იყო სავალდებულოდ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მხოლოდ 34%, შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში - 57%, ხოლო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შემთხვევაში - 63%.

მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, აღნიშნულ სამინისტროებში მნიშნელოვანი პრობლემები რჩება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების თვალსაზრისით.



მთავრობის ადმინისტრაციის მაჩვენებლის მკვეთრი გაუარესება (100%-დან 47%-მდე კლება) განპირობებულია იმ ფაქტით, რომ 2014 წლის ნოემბრის შემდეგ, მის ვებგვერდზე აღარ განახლებულა ფინანსური და სხვა ინფორმაციის უდიდესი ნაწილი: (მაგალითად, განხორციელებული შესყიდვები, სახელმწიფო ქონების გასხვისება, რეკლამის ხარჯები, ბიუჯეტის გეგმა და შესრულება, შრომის ანაზღაურება, სამივლინებო ხარჯები, ავტოპარკი და მისი ხარჯები, სატელეკომუნიკაციო ხარჯები, მიღებული და გაცემული გრანტები და სხვა).

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 90%-იანი მაჩვენებელი 2016 წელს შემცირდა 50%-მდე, რადგან სამინისტროს შემთხვევაში 2014 წლის შემდეგ აღარ განახლებულა ან მხოლოდ 2015 წლის მეორე კვარტლის

მდგომარეობით არის წარმოდგენილი კვარტალში ერთხელ ან ყოველწლიურად გამოსაქვეყნებელი ფინანსური თუ სხვა მონაცემები. სამინისტროს ვებგვერდზე საერთოდ ვერ ვხდებით 2015-2016 წლებთან დაკავშირებულ შემდეგ ინფორმაციას: საჯარო ინფორმაციის გაცემის სტატისტიკა, განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები, რეკლამის ხარჯები, ბიუჯეტი და სხვა. მთელი რიგი ინფორმაცია, მაგალითად: შრომის ანაზღაურება, სამივლინებო ხარჯები, სახელმწიფო ქონების გასხვისება და სხვა წარმოდგენილია მხოლოდ 2015 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით.





მთავრობის ადმინისტრაციის ვებგვერდზე ფინანსური ინფორმაცია 2014 წლის შემდეგ აღარ განახლებულა.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია მხოლოდ 2015 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით.

პროაქტიულად ყველაზე ხელმისაწვდომი და პრობლემური ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის დადგენილება, განსაზღვრავს სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის 6 თემატურ ჯგუფს:

1. ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ;
2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
3. ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფა;
4. სახელმწიფო შესყიდვები და სახელმწიფო ქონების პრივატიზება;
5. დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა;
6. სამართლებრივი აქტები და სხვა საჯარო ინფორმაცია.

თითოეული თემატური ჯგუფი შედგება სხვადასხვა ქვე-პუნქტებისგან.

სამინისტროებმა და მთავრობის ადმინისტრაციამ 2015-2016 წლებში საშუალოდ ყველაზე მეტი ინფორმაცია გამოაქვეყნეს ზოგადი ინფორმაციის (94,4%) და სამართლებრივი აქტების და სხვა ინფორმაციის (93.1%) თემატურ ჯგუფებში.

ამ ორ თემატურ ჯგუფში მიღებული მაღალი საერთო მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ დადგენილების მიხედვით მათში შემავალი ინფორმაციის უდიდესი ნაწილი განახლებას საჭიროებს მხოლოდ ცვლილების შემთხვევაში. IDFI-ის არ გააჩნია მექანიზმები დეტალურად გადაამოწმოს რამდენად სრულად ასახავენ საჯარო უწყებები აღნიშნულ ცვლილებებს საკუთარ ვებგვერდებზე.

2015-2016 წლებში სახელმწიფო დაწესებულებებმა ყველაზე ნაკლებად განაახლეს ფინანსური ინფორმაცია. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების თემატურ ჯგუფში განსაზღვრული პუნქტების განთავსების საერთო მაჩვენებელმა შეადგინა მხოლოდ 65,7%, ხოლო დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის თემატური ჯგუფის საერთო მაჩვენებელმა - 67,2%.



თემატური ჯგუფების ქვეპუნქტებს შორის ყველაზე პრობლემური აღმოჩნდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია - გამოქვეყნების საერთო მაჩვენებელი - 49%. დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა შემდეგ ქვე პუნქტებზეც: მიღებული გრანტები და კრედიტები - 50,9%, გასხვისებული სახელმწიფო ქონება - 51%, რეკლამის ხარჯი - 58,8% და ტექნიკური მომსახურების ხარჯი - 62,7%.



მონიტორინგის ფარგლებში IDFI-მ ასევე შეამოწმა გამოქვეყნებული ინფორმაციის ხარისხი. სამწუხაროდ, მთავრობის დადგენილება მთელი რიგი პუნქტების შემთხვევაში დაწესებულებებს არ ავალდებულებს დეტალური ინფორმაციის გასაჯაროებას. მიუხედავად IDFI-ის მრავალი რეკომენდაციისა, საჯარო უწყებები უმეტესად ცდილობენ გამოაქვეყნონ მხოლოდ ის მინიმალური ინფორმაცია, რაც დააკმაყოფილებს მთავრობის დადგენილების მოთხოვნებს და არ ზრუნავენ ფინანსური გამჭვირვალობის გაზრდაზე. მაგალითად:

ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)

/ათასი ლარი/

კვარტალი	თანამდებობის პირები	სხვა თანამშრომლები
I კვარტალი	426,525	555,502

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია, სადაც არ ხდება სარგოს, დანამატის და პრემიის ერთმანეთისგან გამიჯვნა.

ინფორმაცია სამინისტროს მიერ გაცემული გრანტების შესახებ(2015 წელი)
04.04.2016

ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული გრანტი შეადგენს 5153771 ლარს.

ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია, სადაც არ არის მითითებული გრანტის მიმღები და მიზნობრიობა.

სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი შეწობა(არასაცხოვრებელი)-1
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არის ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისი, რომელმაც მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსებისას, IDFI-ის რეკომენდაციების გათვალისწინებასთან ერთად, საჯარო ინფორმაციის გვერდზე საკუთარი ინიციატივით, დამატებით განათავსა ფინანსური და სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც არ იყო განსაზღვრული საქართველოს მთავრობის N219 დადგენილებით.



7.1. სამინისტროს სერვისების შესახებ ინფორმაცია

10.12.2013

სამინისტროს ცენტრალური აპარატი მოქალაქეებს რაიმე სახის სერვისებს არ სთავაზობს.

2015 წ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები რეგიონებისა და ქალაქების მიხედვით (მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობები);

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები რეგიონებისა და ქალაქების მიხედვით (სტუდენტებისა და მასწავლებლების რაოდენობები);

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები რეგიონებისა და ქალაქების მიხედვით (სტუდენტებისა და პროფესორების რაოდენობები);

ანგარიში (2014 წლის საბიუჯეტო პროგრამების შესახებ)

ინფორმაცია წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ, ლონისძიების ჩამონათვალის და დახარჯული თანხის მიხედვით 2014 წ.

ინფორმაციის განახლების დათარიღება

მთავრობის დადგენილების თანახმად, დაწესებულება ვალდებულია პროაქტიულად გამოქვეყნებულ ინფორმაციას მიუთითოს ვებგვერდზე მისი განთავსების თარიღი. როგორც ირკვევა, 2015-2016 წლების ინფორმაციაზე შესწავლილი დაწესებულებების მხოლოდ 47%-მა მიუთითა თარიღები.



პრობლემა არის ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში განთავსებული ინფორმაციიდან არ ირკვევა, თუ კონკრეტულად რა პერიოდს ასახავს ეს თუ ის მონაცემი. მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაციიდან ირკვევა, რომ მითითებული თანხა მოიცავს 6 და 9 თვის მონაცემებს, თუმცა რომელი წლის 6 და 9 თვიან პერიოდშია გაწეული ხარჯი დოკუმენტაციიდან არ ჩანს. მსგავსი სახით ვებგვერდზე მონაცემების წარმოდგენა სრულიად უსარგებლოა მომხმარებლისთვის.



-რეკლამაზე გაწეული ხარჯი-0 ლარი.
-ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯები **6 თვეში**
თანამდებობის პირებზე ქვეყნის გარეთ შეადგენს 184523.85 ლარს;
თანამდებობის პირებზე ქვეყნის შიგნით შეადგენს 2529 ლარს.
სისტემის თანამშრომლებზე ქვეყნის გარეთ შეადგენს 651782.18 ლარი;
სისტემის თანამშრომლებზე ქვეყნის შიგნით შეადგენს 11539 ლარი.

-ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯები **9 თვეში**
თანამდებობის პირებზე ქვეყნის გარეთ შეადგენს 297969.63 ლარს;
თანამდებობის პირებზე ქვეყნის შიგნით შეადგენს 5133 ლარს.
სისტემის თანამშრომლებზე ქვეყნის გარეთ შეადგენს 821878.54 ლარი;
სისტემის თანამშრომლებზე ქვეყნის შიგნით შეადგენს 23038 ლარი.
- საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯები 6 თვეში ჯამურად შეადგენს 59259.45 ლარს

დასკვნა

2013 წელს საქართველოში განხორციელდა ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წარმატებული იმპლემენტაცია, რაც მომავალში უნდა გამხდარიყო საფუძველი საჯარო დაწესებულებების სრულფასოვანი ელექტრონული გამჭვირვალობის მიღწევის.

საქართველოში ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების დანერგვიდან დაახლოებით სამი წლის შემდეგ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის და სამინისტროების ვებ-გვერდების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, გამოჩნდა რომ კონკრეტული უწყებების შემთხვევაში მნიშვნელოვანი პრობლემები შეინიშნება არსებული ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით. მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, რომელსაც 2015-2016 წლებში ფაქტობრივად არანაირი სახის ფინანსური ინფორმაცია არ განუახლებია.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, როგორც ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პროექტის შემმუშავებელი და დამნერგავი ორგანოს, მიერ 2015-2016 წლების ინფორმაციის განთავსებასთან დაკავშირებით არსებული ვალდებულებების უგულვებელყოფა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მომავალში ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მექანიზმის წარმატებით ფუნქციონირებას.

მიუხედავად IDFI-ის არაერთგზის მოწოდებისა მონიტორინგის ობიექტი საჯარო დაწესებულებები უმეტესად ცდილობენ გამოაქვეყნონ მხოლოდ ის მინიმალური ინფორმაცია, რაც დააკმაყოფილებს მთავრობის დადგენილების მოთხოვნებს.

მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთავრობის ადმინისტრაცია და სამინისტროების უმრავლესობა სათანადოდ არ ცდილობენ უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური გამჭვირვალობა და საზოგადოებისთვის სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა.

IDFI მოუწოდებს მთავრობის ადმინისტრაციას და სამინისტროებს:

- შეასრულონ საქართველოს მთავრობის 2013 წლის N219 დადგენილებით მათზე დაკისრებული ვალდებულებები;
- ინფორმაციის განთავსებისას არ შემოიფარგლონ მხოლოდ მინიმალური ვალდებულებების შესრულებით;
- ინფორმაციის გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტებით პროაქტიულად განათავსონ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ნებისმიერი ინფორმაცია.

2014 და 2016 წლების ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მონიტორინგის შედეგები			
N	საჯარო დაწესებულება	2016 წ.	2014 წ.
1	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	**100%**	100%
2	ენერგეტიკის სამინისტრო	**100%**	100%
3	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	**100%**	93%
4	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	**100%**	92%
5	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	**98%**	86%
6	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	**93%**	93%
7	იუსტიციის სამინისტრო	**92%**	98%
8	ფინანსთა სამინისტრო	**89%**	86%
9	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	**80%**	94%
10	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	**78%**	63%
11	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	**76%**	96%
12	შინაგან საქმეთა სამინისტრო	**70%**	57%
13	თავდაცვის სამინისტრო	**69%**	70%
14	საგარეო საქმეთა სამინისტრო	**52%**	58%
15	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	**52%**	34%
16	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	**50%**	90%
17	მთავრობის ადმინისტრაცია	**47%**	100%